

ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვა

ინტელექტუალური საკუთრების არსი

ინტელექტუალური საკუთრება ადამიანის გონებრივ, შემოქმედებით საქმიანობას გულისხმობს, რაც აერთიანებს მეცნიერების, ტექნოლოგიების, წარმოების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებს. ინტელექტუალური საკუთრება არის იმ უფლებების ერთიანობა, რომელიც ასეთი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად წარმოიშვა. ეს უფლებები არ ვრცელდება უშუალოდ იმ მატერიალურ ობიექტებზე, რომლებშიც განსახიერებულია შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი, არამედ ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის გონების ქმნილებებზე, რადგანაც თავისი არსით ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები წარმოადგენენ ინფორმაციას (რომელიც გამოხატულია იდეის ან ფორმის სახით), შეუძლებელია მათ გამოყენებაზე უშუალო კონტროლის დაწესება და განხორციელება საკუთრების მატერიალური ფორმებისათვის მისაღები სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით.

ინტელექტუალური საკუთრების სახეები

დღეს არსებულ საკანონმდებლო სისტემებში ინტელექტუალური საკუთრების უფლება საავტორო უფლებებს, სავაჭრო მარკას, პატენტებს და სავაჭრო სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობის კონფიდენციალურობას მოიცავს.

საავტორო უფლებები ავტორებს ისეთი “ორიგინალური ნაშრომებისთვის“ მიენიჭებათ, როგორცაა წიგნები, სტატიები, ფილმები და კომპიუტერული პროგრამები. საავტორო უფლებები ავტორს მისი ნაშრომების გამოქვეყნების, ჩვენების, რეპროდუქცირების ან საჯაროდ წარმოდგენის ექსკლუზიურ უფლებას აძლევს. საავტორო უფლებები მხოლოდ იდეების ფორმას, ანუ გამოხატულებას იცავენ და არა თავად იდეებს. საავტორო უფლებები დარეგისტრირებული იმისთვის უნდა იყოს, რომ იურიდიული უფლებები გეკუთვნოდეთ, მაგრამ საავტორო უფლებების დარეგისტრირება ნაშრომების დემონსტრირებისთვის არ არის საჭირო. ანუ,

საავტორო უფლებები ავტომატურად ჩნდება მაშინვე, როდესაც ნაშრომი გამოხატულების რომელიმე ხელშესახებ ფორმაში “დაფიქსირდება“ და ავტორის ცხოვრების განმავლობაში და მისი დასრულებიდან სამოცდაათი წლის შემდეგ იარსებებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ავტორს და დამქირავებელს საკუთარი საავტორო უფლებები გააჩნიათ, საავტორო უფლებები 95 წლის განმავლობაში მოქმედებენ.

პატენტი გამოგონებებზე საკუთრების უფლებას წარმოადგენს, ანუ იმ მოწყობილობების ან პროცესების საკუთრების უფლება, რომლებიც “სასარგებლო“ ფუნქციებს ასრულებენ. პატენტი გამოგონებელს მისი გამოგონების წარმოებაზე, რეალიზაციაზე ან გაყიდვაზე მონოპოლიურ უფლებას ანიჭებს. მაგრამ პატენტი სინამდვილეში პატენტის მესაკუთრეს მისი გამოგონების სხვების მიერ გამოყენებისა და წარმოების შეზღუდვის უფლებას აძლევს (ანუ, გამოგონებელს უფლება აქვს ხელი შეუშალოს სხვას მისი დაპატენტებული გამოგონებით სარგებლობაში), თუმცა იგი პატენტის მესაკუთრეს მისი გამოგონების გამოყენების უფლებას არ აძლევს.

ყველა გამოგონების ან აღმოჩენის დაპატენტება შეუძლებელია. ამერიკის უზენაესმა სასამართლომ გამოგონებების სამი კატეგორია დაადგინა, რომელთა დაპატენტება შეუძლებელია, კერძოდ: “ბუნების კანონები, ბუნებრივი მოვლენა და აბსტრაქტული იდეები“. მაგრამ შესაძლებელია იმ აბსტრაქტული იდეების დაპატენტება, რომლებიც რაიმე “პრაქტიკული გამოყენების“ ფორმით ჩამოყალიბდება, ანუ “სასარგებლო ფუნქციების მატარებელი მატერიალური საგნის ფორმას მიიღებს“. 1995 წლის 8 ივნისიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში პატენტები მათი გაცემის დღიდან 20 წლის განმავლობაშია ძალაში (მანამდე არსებული წესის მიხედვით ეს ვადა 17 წელი იყო).

სავაჭრო საიდუმლოება რაიმე კონფიდენციალური ხასიათის ფორმულას, მოწყობილობას ან ფასის თაობაზე ინფორმაციას გულისხმობს, რომელიც ამ უფლების მესაკუთრეს კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს მანამდე, სანამ ეს საიდუმლოება დაცული იქნება. მაგალითად, კოკა-კოლას ფორმულა. სავაჭრო საიდუმლოება შეიძლება ისეთ ინფორმაციას ეხებოდეს, რომელიც არ წარმოადგენს სიახლეს ისეთი მოცულობით, რომ მისი დაპატენტება შეიძლებოდეს ან არ არის იმდენად ორიგინალური, რომ საავტორო უფლებებით იქნას დაცული (მაგ. მომხმარებელთა სიები ან სეისმოლოგიურ მონაცემთა ბაზა). კანონები სავაჭრო საიდუმლოების შესახებ ამ საიდუმლოების “არასწორ“ გამოყენებას ზღუდავს ან ამგვარი გამოყენების შემთხვევაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის წესებს ადგენენ. სავაჭრო საიდუმლოება შტატების

კანონმდებლობით არის დაცული, თუმცა სავაჭრო საიდუმლოების გამჟღავნების აღმოსაფხვრელად ახლახან ფედერალური კანონებიც იქნა მიღებული. სავაჭრო საიდუმლოების დაცვის უფლება ამ საიდუმლოების მესაკუთრის სათანადო განცხადების საფუძველზე მოიპოვება. თეორიულად სავაჭრო საიდუმლოება შეიძლება განუსაზღვრელი დროის განმავლობაში იყოს დაცული, თუმცა ეს საიდუმლოება ინფორმაციის გამჟღავნების ან სხვა მსგავსი გამოგონების შედეგად დაირღვევა. სავაჭრო საიდუმლოების მეშვეობით საიდუმლო ინფორმაციისა და პროცესების დაცვაა შესაძლებელი, მაშინ როდესაც ცნობების მოპოვებისა და დამუშავების, აგრეთვე რუქების დაცვა საავტორო უფლებების გამოყენებით შეუძლებელია. სავაჭრო საიდუმლოების მეშვეობით პროგრამული უზრუნველყოფის კოდების დაცვაც ხერხდება, რაც საავტორო უფლებების მეშვეობით შეუძლებელია. მაგრამ სავაჭრო საიდუმლოებას გარკვეული ნაკლოვანებაც გააჩნია, რადგანაც თუ კონკურენტი დამოუკიდებლად მოახერხებს იგივე სფეროში რაიმე მოწყობილობის ან პროცესის გამოგონებას, ეს პირველ გამომგონებელს (ანუ სავაჭრო საიდუმლოების მესაკუთრეს) ამ ახალი გამოგონებით სარგებლობაში ხელს შეუშლის.

სავაჭრო ნიშანი არის სიტყვა, ფრაზა, სიმბოლო ან დიზაინი, რომელიც საქონლისა და მიწოდებული მომსახურების წყაროს ამოცნობის საშუალებას იძლევა და რომელიც მას სხვა მომწოდებლის საქონლისგან და მომსახურებისგან განასხვავებს. მაგალითად წარწერა “კოკა-კოლა“ და დიზაინი, რომლითაც ამ კომპანიის პროდუქციას სხვების, მაგალითად “პეპსის“ პროდუქციისგან განასხვავებს. სავაჭრო ნიშნის შესახებ კანონმდებლობა კონკურენტების მიერ ამ სავაჭრო ნიშნის გამოყენებას ზღუდავს, ისევე როგორც “შეცდომაში შეყვანის მიზნით მსგავსი ნიშნით“ სარგებლობას აკონტროლებს. პატენტებისა და საავტორო უფლებებისგან განსხვავებით სავაჭრო ნიშნის უფლებები განუსაზღვრელი დროის განმავლობაში შეიძლება არსებობდეს, ანუ მანამდე, სანამ მესაკუთრეს ამ ნიშნის გამოყენება უნდა.

ფედერალური წესით დარეგისტრირებული სავაჭრო ნიშნის ძალაში ყოფნის ვადა 10 წელია და მისი შემდგომი 10 წლით გაგრძელება შეიძლება. სავაჭრო ნიშანთან დაკავშირებული სხვა უფლებები სავაჭრო ნიშნის შებღალვას, კიბერმეთოდებით გაყალბებასა და “უპატიოსნო კონკურენციისგან“ დაცვას გულისხმობს.

ინტელექტუალური საკუთრების სარგებელი

საზოგადოდ, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებები შემოქმედს ან პატენტის, სასაქონლო ნიშნის თუ საავტორო უფლებების მფლობელს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს სარგებელი საკუთარი ნაშრომიდან ან ინვესტიციიდან. ამ უფლებათა

ძირითადი პრინციპები ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 27-ე მუხლშია მოცემული, რომელშიც განსაზღვრულია ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომის, ლიტერატურული ან ხელოვნების ნაწარმოების ავტორობიდან გამომდინარე არაქონებრივი და ქონებრივი ინტერესების დაცვით სარგებლის მიღების უფლება.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა და ხელშეწყობა საკმაოდ მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ნებისმიერი ქვეყნისათვის. იგი მეტწილად განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების დონეს, მის წარმატებულ ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. ამას გარდა, ინტელექტუალური საკუთრების ხელშეწყობა უაღრესად მნიშვნელოვანია კაცობრიობის პროგრესისათვის, რადგანაც მისი კეთილდღეობა მჭიდროდაა დაკავშირებული მრეწველობაში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვასა და კულტურის სფეროში განხორციელებულ შემოქმედებით სიახლეებთან, შესაბამისი სამართლებრივი სისტემის შექმნა ხელს უწყობს დამატებითი რესურსების გამოვლენას და სტიმულს აძლევს შემდგომ ინოვაციებს, აჩქარებს ეკონომიკური განვითარების პროცესს, ქმნის მრეწველობის ახალ დარგებსა და სამუშაო ადგილებს, აუმჯობესებს ცხოვრების პირობებსა და დონეს.

ინტელექტუალური საკუთრება მფლობელს საშუალებას აძლევს მიიღოს სარგებელი საკუთარი შემოქმედებიდან. იგი მნიშვნელოვნად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე. როგორც გამოკვლევები აჩვენებს, ამერიკის შეერთებულ შტატებში მსხვილი ბიზნესის ღირებულების ორ-მესამედს სწორედ რომ არამატერიალური აქტივები წარმოადგენენ. ამას გარდა, აზიის რამდენიმე ქვეყანაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ დადებითი კორელაციური კავშირი არსებობს ინტელექტუალურ საკუთრების უფლებების დაცვასა და ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას შორის. ამ შემთხვევაში მოცემულ არგუმენტებს მიყვავართ ე.წ. ნეშის წონასწორობის მოდელთან, რომლის მიხედვითაც პატენტის მფლობელი იმ ქვეყანაში ახორციელებს თავის საქმიანობას, სადაც ინტელექტუალურ საკუთრების დაცვაზე მოქმედებს მყარი კანონმდებლობა.

კანონმდებლობა და კონვენციები

მსოფლიოში მრავალი წლების მანძილზე ჩამოყალიბდა ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების წარმოშობისა და განხორციელების სპეციალური სამართლებრივი ნორმები და მექანიზმები, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს შესაბამის ეროვნულ საკანონმდებლო აქტებში, საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებში. დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვან კონვენციას წარმოადგენს ბერნის კონვენცია

ლიტერატურისა და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ და მსოფლიო კონვენცია საავტორო უფლებების დაცვის შესახებ. ეს კონვენციები უნივერსალური შეთანხმებებია და მათი წევრი ქვეყნებისათვის წარმოადგენენ საავტორო უფლებების შესახებ კანონის საერთაშორისო საკანონმდებლო საფუძველს. საკუთარი კანონმდებლობის შემუშავებისას წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ საავტორო უფლებების დაცვის სტანდარტები. ამ კონვენციებში ჩამოყალიბებულ პრინციპებს ეყრდნობა ევროკავშირის დირექტივებიც.

ბერნის კონვენცია ხელმოწერილ იქნა საერთაშორისო კონფერენციაზე ქ. ბერნში 1886 წელს და შემდგომ რამდენჯერმე იქნა მოდიფიცირებული: ბერლინში-1908 წელს, ბრიუსელში-1948 წელს, ჟენევაში 1957 წელს, სტოკჰოლმში 1967 წელს წელს და პარიზში-1971 წელს. ქვეყნებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას, დაარსეს ბერნის საავტორო უფლებათა დაცვის კავშირი.

აღნიშნული კონვენციის თანახმად, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები თანაბარი საავტორო უფლებებით სარგებლობენ ყველა იმ სახელმწიფოთა ფარგლებში, რომლებმაც ხელი მოაწერეს აღნიშნულ შეთანხმებას. ბერნის კონვენციით აღიარებული საავტორო უფლება არ საჭიროებს ფორმალურ ან სპეციალური რეგისტრაციის პროცედურას. ბერნის კავშირში შემავალმა ყველა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი ეროვნების ავტორისათვის საავტორო უფლებების ისეთივე დაცვა, როგორითაც სარგებლობს ადგილობრივი მოქალაქე. თუმცა, იმ ქვეყნის კანონმდებლობა, საიდანაც არის ავტორი, გათვალისწინებული უნდა იქნეს, ანუ ავტორი ვერ ისარგებლებს უფრო ხანგრძლივი დაცვით საზღვარგარეთ, ვიდრე ეს დაწესებულია მის საკუთარ ქვეყანაში. ეს ნორმა ცნობილია “ მოკლე ვადის წესი”-ს სახელით. მაგალითად, დიდი ბრიტანეთში დანიის მოქალაქის საავტორო უფლება ისევეა დაცული კანონით საავტორო უფლებების შესახებ, როგორც ეს დიდი ბრიტანეთის მოქალაქისა.

კონვენციის მიხედვით, მასში შემავალი ყველა ქვეყანა დამატებით იღებს თავის თავზე ვალდებულებას დაიცვას საავტორო უფლება:

- ა) ისეთ ნაწარმოებზე, რომელიც პირველად გამოიცა ბერნის კონვენციაში შემავალ ქვეყანაში;
- ბ) არაგამოქვეყნებული ნაშრომისა, რომლის ავტორი ამ ქვეყნების მოქალაქე ან მუდმივად მაცხოვრებელია.

კონვენციის მიხედვით საავტორო უფლების დაცვის ვადა ყველა ნამუშევარზე (ფოტო და კინო ნამუშევრის გარდა) გრძელდება ავტორის გარდაცვალების შემდეგ 50 წლის განმავლობაში მაინც, თუმცა წევრ ქვეყნებს აქვთ უფლება ამ ვადის გაზრდის. ფოტონამუშევრებისათვის დაწესებულია 25 წლიანი ვადა (შექმნის წლიდან), ხოლო კინონამუშევრებისათვის-50 წელი პირველი ჩვენებიდან.

საავტორო უფლებების მსოფლიო კონვენციის წევრმა ქვეყნებმა 1967 წლის 14 ივლისს სტოკჰოლმში ხელი მოაწერეს “ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელ კონვენციას”, კონვენცია ძალაში შევიდა 1970 წელს. ამ აქტის საფუძველზე ჩამოყალიბდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია WIPO-World Intellectual Property Organization.

WIPO წარმოადგენს სამთავრობათშორისო ორგანიზაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში (1974 წლიდან იგი მოქმედებს როგორც სპეციალიზირებული სააგენტო). WIPO-ს ძირითად ამოცანას წარმოადგენს ბერნის კონვენციის დებულებების აღსრულება სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გზით, მთელს მსოფლიოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ხელშეწყობა და ადმინისტრაციული მმართველობის უზრუნველყოფა სხვადასხვა რეგიონალური ორგანიზაციების დახმარებით. საქართველო გაწევრიანდა WIPO-ში 1991 წლის 25 დეკემბერს.

ბერნის კონვენციის ძირითად დებულებებს ემყარება აგრეთვე ისეტი მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტიც, როგორცაა შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სავაჭრო ასპექტების შესახებ (TRIPS). აღნიშნული შეთანხმებით დაცულია კომპიუტერული პროგრამები (როგორც ლიტერატურული ნაშრომები), მონაცემთა ბაზები, მონაცემთა კრებულები, აგრეთვე, გაქირავების უფლება, შემსრულებელთა, ფონოგრამის პროდიუსერებისა და მაუწყებლობის ორგანიზატორების უფლებები.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა საქართველოში

საქართველო 1991 წელს გაწევრიანდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში, რამაც ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის საერთაშორისო პრინციპებზე ორიენტირება გაამარტივა. საქართველო ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის სფეროში ძირითად საერთაშორისო კონვენციებს შეუერთდა:

- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია;
- სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია;
- ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია;
- ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების პროტოკოლი;
- სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ ჰააგის შეთანხმება;
- ჰააგის შეთანხმების ვენევის აქტი სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ;
- საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის ნიცის შეთანხმება ნიშნების რეგისტრაციის მიზნებისთვის;
- ადგილწარმოშობის დასახელებებისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის დაცვის ლისაბონის შეთანხმება;
- საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება;
- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საავტორო უფლებების ხელშეკრულება;
- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმება.

აღსანიშნავია, რომ ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის სისტემა საკმაოდ კომპლექსური და მრავალკომპონენტანია. საქართველოში ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის სისტემის ცენტრალური რგოლია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი.

საქპატენტი ახორციელებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე (გამოგონებაზე, სასაქონლო ნიშანზე, გეოგრაფიულ აღნიშვნაზე და სხვა) სამართლებრივი უფლებების დამცავი დოკუმენტების გაცემას, რასაც წინ რეგისტრაციისა და ექსპერტიზის პროცედურები უძღვის. მის კომპეტენციაშია სამრეწველო საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვა, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ჯიშების დაცვა (მანამდე ამ უკანასკნელს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებდა). საქპატენტი მუშაობს ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის სისტემის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე, აგრეთვე მისი ეკონომიკური და საორგანიზაციო გაუმჯობესების წინადადებებზე. იგი აწარმოებს სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ საინფორმაციო სამუშაოებს (ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრი, ოფიციალური ბიულეტენის გამოცემა და სხვ.). მის

მოვალეობაში შედის პატენტრწმუნებულთა ატესტაცია, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საკუთრების უფლებების მოპოვებასთან დაკავშირებულ განაცხადებზე დავების განხილვა. საქპატენტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია და საქართველოს პრემიერ-მინისტრს ექვემდებარება.

საქართველოში მოქმედებს საქპატენტის მიერ მომზადებული ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის მარეგულირებელი კანონთა სისტემა:

- „საქართველოს საპატენტო კანონი“;
- „საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ“;
- „საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“;
- „საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“;
- „საქართველოს კანონი ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიის შესახებ“;
- „საქართველოს კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“.

საქპატენტი საჭიროების შემთხვევაში ამზადებს ამ და სხვა კანონების ცვლილებებს, მათ შორის ისეთების, როგორცაა “ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი” და “სისხლის სამართლის კოდექსი”.

საქპატენტი წლიურად აკმაყოფილებს 40-მდე ქვეყნიდან შემოსულ დაახლოებით 3000 განაცხადს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთა საქართველოში დაცვის შესახებ და გასცემს დამადასტურებელ დოკუმენტებს.

თანამედროვე პირობებში, საქართველოში არსებობს ყველა პირობა და ინსტრუმენტი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. მიუხედავად ამისა, ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ინტელექტუალური უფლებები თითქმის არ არის დაცული, რაც ბუნებრივია უარყოფითად მოქმედებს უცხოელ ინვესტორებზე, რადგანაც მათ არ ეძლევათ გარანტია, რომ ბაზარი ყალბი პროდუქციისაგან იქნება დაცული.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია ქვეყანაში გაუმჯობესდეს მოცემული საკითხის გარშემო არსებული ცოდნა და გამოცდილება, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და დანერგვა, ამას გარდა შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვის სისტემის დანერგვა. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა თანამედროვე პირობებში უადრესად აქტუალურია. ამას მოწმობს ევროპასთან სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მოთხოვნილი დახმარება: ა) ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში კანონმდებლობის თავსებადობის

მიღწევაში ევროპასთან საპარტნიორო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებისა (PCA) და ბ) ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების (TRIPs) მოთხოვნებთან; სასამართლო სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებაში; შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურების გაძლიერებაში; ინტელექტუალური საკუთრების დაცვის განხორციელებისთვის განკუთვნილი რესურსების გაზრდაში; PCA-ს მიერ შემოთავაზებული სათანადო ხელშეკრულებების გამოყენებაში; ბაზარზე პირატული და ყალბი პროდუქციის გატანის საკითხების გამოკვლევაში. ყველა ეს საკითხი საკვანძოა ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრის-საქპატენტის ოფიციალური ვებ-გვერდი: www.sakpatenti.org

ნინო გეთია: საავტორო უფლებების დაცვა ევროპაში

Intellectual Property Licensing: Forms and Analysis, by Richard Raysman, Edward A. Pisacreta and Kenneth A. Adler. Law Journal Press, 1999-2008. ISBN 973-58852-086-9

Intellectual Property Licensing: Forms and Analysis, by Richard Raysman, Edward A. Pisacreta and Kenneth A. Adler. Law Journal Press, 1999-2008. ISBN 973-58852-086-9